

ელენე გოგიაშვილი (საქართველო)

აღმოსავლური ზღაპრების კრებულები ევროპაში: არაბული ლამეების ლიტერატურული და ხალხური ვერსიები*

XVII-XVIII საუკუნეებში აღმოსავლურმა საზღაპრო კრებულებმა ახალი ეპოქა შექმნა ევროპის ლიტერატურულ და სამეცნიერო ცხოვრებაში. „აღმოსავლეთის“ რომანტიკულმა ფილოსოფიურმა ფენომენმა განსაკუთრებული ინტერესი გააღვივა „ათას ერთი ლამისადმი“, რომლის ფრანგულად თარგმნა ანტუან გალანმა 1701 წლიდან დაიწყო. ევროპელი მკითხველის აღტაცება გალანის თარგმანით დასაწყისი იყო აღმოსავლური კრებულების უსაზღვრო სიყვარულისა დასავლეთში.

ამ პერიოდში ზღაპრების კრებულების** წარმატება რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. უპირველეს ყოვლისა, ზღაპარი როგორც ფოლკლორული თუ ლიტერატურული ჟანრი თანაბრად გასაგებია ყველა ასაკობრივი ჯგუფისა თუ სოციალური ფენის წარმომადგენლისთვის. თემატიკური მრავალფეროვნება და თხრობის მარტივი სტილი ადვილად აღსაქმელია განათლებული მკითხველისა და წერა-კითხვის არმცოდნესათვის. ყველა საზღაპრო კრებული ევროპაში „ათას ერთ ლამემდე“ იმით გამოირჩევა, რომ მათი ავტორები ხალხურ სიუჟეტებს ლიტერატურულად ამუშავებენ. ამ სიუჟეტთა სიცოცხლისუნარიანობა კი სწორედ მათი ხალხური წარმომავლობით და ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ხალხებში საყოველთაო გავრცელებით აიხსნება.

„ათას ერთი ლამე“

„ათას ერთ ლამის“ პოპულარობის მიზეზი სიუჟეტთა ხალხური წარმოშობა არ არის. „ათას ერთ ლამე“ ლიტერატურული ნაწარმოებია. მასში ხალხური ზღაპრების უმნიშვნელო რაოდენობაა შესული. როგორც ჰასან ელ-შამი აღნიშნავს, ბევრი ხალხური ზღაპარი, რომელიც არაბულენოვან ქვეყნებში ფართოდ არის გავრცელებული, არ მიეკუთვნება „ათას ერთ ლამეს“ (El-Shamy 1990: 63-117).

* კვლევა ნაწილია პროექტისა „აღმოსავლეთი და დასავლეთი ქართულ ხალხურ ზღაპრებში: ზეპირი და ლიტერატურული ტრადიციები“, რომელიც ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით [FR 217488].

** 1550-1553 წლებში ვენეციაში ფრანჩესკო სტრაპაროლას „გასართობი ლამეები“ გამოქვეყნდა. ამ ნაწარმოებით ევროპაში საფუძველი ჩაეყარა ლიტერატურულ ზღაპარს, რომელმაც ნეაპოლელი ჯამბატისტა ბაზილეს „პენტამერონზე“ (დაახლ. 1634-1636 წწ.) და გერმანულ ზღაპარზე მოახდინა გავლენა. კიდევ უფრო დიდი ზემოქმედება ჰქონდა ფრანგულ, შარლ პეროს ზღაპრებს მე-17 საუკუნის ბოლოს, ასევე მადამ დ'ონუას კრებულს „ფერიათა ზღაპრები“. მისი საქმის გამგრძელებლები მადმუაზელ დე ფორსი, მადამ დე მიურა, კავალერ დი მაი და სხვები იყვნენ. უცხოური ზღაპრის ნათარგმნი კრებულები გერმანული წიგნის ბაზარზეც გაჩნდნენ. ხალხური ზღაპრების გამოცემა ევროპაში ჯერ გადაუმავლებით დაიწყო, შემდეგ კი გრიმების კრებულში დაგვირგვინდა. ამ საკითხის ირგვლივ ვრცლად იხ. Cocchiara 1981; Bausinger 1980; Gerhardt 1963.

მეორე პარადოქსი არაბულ ზღაპრებთან დაკავშირებით ის არის, რომ ლიტერატურული ზღაპრები, რომლებიც „ათას ერთი ღამის“ სავიზიტო ბარათებად იქცა მსოფლიოს პოპულარულ კულტურაში, არ არიან „ათას ერთი ღამის“ ორგანული შემადგენელი ნაწილი.

ევროპელმა მთარგმნელებმა „ათას ერთ ღამეს“ დაუმატეს ახალი ზღაპრები, მაგალითად, ალადინის, ალი-ბაბას, უფლისწულ აჰმედისა და ფერია პარიზანუს ამბები და სხვ. ეს ზღაპრები არ მომდინარეობენ თვითონ „ათას ერთი ღამიდან“, მაგრამ გალანის თარგმანის მომდევნო ევროპულ საზღაპრო კრებულებში სხვა შემდგენლებმაც შეიტანეს (The Book of the Thousand Nights and A Night 1882; Lang 1889). გიორგი წერეთელი „ათას ერთ ღამის“ ქართული გამოცემის წინასიტყვაობაში შენიშნავს, რომ არაბული ზღაპრების პოპულარობის მიზეზი ევროპაში იყო თავისუფალი თარგმანი და მისი შესაბამისობა იმდროინდელ ფრანგულ ლიტერატურულ გემოვნებასთან: „ამით აიხსნება ის იშვიათი წარმატება, რომელიც ა. გალანის შრომას ხვდა წილად. გალანის თარგმანი შეიცავს ტექსტის მხოლოდ ნაწილს. მაღე მას მოჰყვა მთელი რიგი დამატებები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში წარმოადგენენ უფრო მეტად ფანტაზიის ნაყოფს, ვიდრე ნამდვილ თარგმანს“ (წერეთელი 1969: 13).

ფრანგი მოგზაური, დიპლომატი და მეცნიერი ანტუან გალანი (1646-1715) არაბულ ზღაპრებზე 1701 წლიდან მუშაობდა. მისი ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ იგი ბავშვობიდან სწავლობდა ლათინურს, ბერძნულსა და ებრაულს. 1661 წელს პარიზში გადასვლის შემდეგ აღმოსავლური ენებიც ისწავლა და სორბონაში აღმოსავლური კატალოგიც შეადგინა. 1670-76 წლებში წელს გალანი ოსმალეთში ახლდა ფრანგ ელჩს, მარკიზ დე ნუანტელს. 1677 წელს კვლავ იმოგზაურა აღმოსავლეთში, 1679 წლიდან კი ოსტნდოეთის ფრანგული კომპანიის დაკვეთით ათი წელი იმყოფებოდა აზიაში და ზედმიწევნით გაეცნო აღმოსავლურ გარემოს თურქული, არაბული და სპარსული ენების შესწავლის ჩათვლით. საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ ანტუან გალანი აღმოსავლურ ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობდა.

1700 წელს გალანმა „სინდბადის მოგზაურობის“ თარგმანი მოამზადა და მხოლოდ ამის შემდეგ აღმოაჩინა, რომ ეს მოთხრობა ერთი დიდი წიგნის – „ათას ერთი ღამის“ ნაწილი იყო. მთარგმნელმა სასწრაფოდ მოიპოვა ხელნაწერი ალექსანდრიიდან. თავდაპირველად სამი ტომი მიიღო, პირველი 281 ღამე, 1702-03 წლებში – გაგრძელება. ეს ხელნაწერები ამჟამად დაკარგულია. 1704-06 წლებში გამოვიდა გალანის წიგნის პირველი შვიდი ტომი „Les mille et une Nuits. Contes arabes en Français“ მის მიერ მოპოვებული ხელნაწერების საფუძველზე, რომელთა შორის არ იყო „სინდბადის მოგზაურობა“. 1709-1717 წლებში გამოცემული VIII-XII ტომების პირველწყარო დაკარგულია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ მის კრებული მომზადდა ვინმე ჰანა დიაბის ჩანაწერებზე დაყრდნობით (Grotzfeld 1987: 660-662).

ჰანა დიაბი სირიელი მავრი იყო. ანტუან გალანმა იგი 1709 წელს პარიზში გაიცნო ვინმე ლუკასთან, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობდა და სწორედ მას ჩამოჰყვა ჰანა დიაბი საფრანგეთში. ცნობები ჰანა დიაბზე ანტუან გალანის დღიურებშია შემორჩენილი. ჰანამ არაბულის გარდა თურქული, ფრანგული და პროვანსალური იცოდა.

ჰანამ გალანს არაბული ზღაპრები უამბო „ათას ერთი ლამიდან“ და ჩაწერას შეპირდა. რამდენად შეასრულა ეს დაპირება, არ არის ცნობილი. მხოლოდ ალა-დინის ამბავზე შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ გალანს არაბული ხელნაწერი გადასცა. გალანს თავის დღიურში 6 მაისსა და 2 ივნისს შორის შუალედში აქვს ჩაწერილი მოსმენილი ამბები, რომელთაგან ზოგიერთი თავის „Les mille et une Nuits. Contes arabes traduits en Français“-ში გადაიტანა. ერთ-ერთი მათგანი, მაგალითად, „აბანოზის ხის ცხენი“ თავიდან გადმოსცა, სხვები, მათ შორის „ალადინი“ და სავარაუდოდ „ალი ბაბა“, ხელახლა თარგმნა ჰანას არაბული ხელნაწერიდან, რომელიც დღესდღეობით გამქრალია (Grotzfeld 1990: 485). XIX საუკუნის ბოლოს მიაკვლიეს „ალადინისა“ და „ალი ბაბას“ არაბულ ტექსტებს, რომლებიც მეცნიერებმა გალანისეული ფრანგული ვერსიის არაბულ თარგმანად მიიჩნიეს. აღმოსავლური, გალანის ტექსტისგან დამოუკიდებელი ვერსია „ალადინისა“ და „ალი ბაბას“ ზღაპრებისა დღემდე არ არის ნაპოვნი. არსებობს მხოლოდ „აბანოზის ხის ცხენის“ აღმოსავლური ვერსია, ამოღებული „ათას ერთი ლამის“ ეგვიპტური კორპუსიდან. ეს ვერსია სრულიად განსხვავებულია გალანის დღიურში ჩანიშნული ამავე ზღაპრიდან.

ჰაინც გროცფელდი და სხვა ორიენტალისტი მკვლევრები მიიჩნევენ, რომ ჰანას მოთხრობილი ამბები არ მიეკუთვნება აღმოსავლურ „ათას ერთი ლამის“ კორპუსს. „წერილობითი საბუთის უქონლობაზე მიანიშნებს გალანის გამონათქვამი mettre par écrit (ჩაწერილი). ეს გვაფიქრებინებს, რომ ჰანამ ეს ამბები ახლო აღმოსავლეთის თხრობით ტრადიციაზე დაყრდნობით შეთხზა, რომელსაც „ათას ერთი ლამის“ ცალკეული კომპილატორები XVII-XVIII საუკუნეებში მიმართავდნენ“ (Grotzfeld 1990: 486). მხოლოდ გალანისა და ჰანას შემთხვევით შეხვედრას უნდა ვუმაღლოდეთ, რომ ეს თხზულებები საქვეყნოდ ცნობილი გახდა და გამოცემის შემდეგ „ათას ერთი ლამის“ განუყოფელ ნაწილად იქცა.

აღმოსავლური ზღაპრების სხვა კრებულები

1785-89 წლებში პოლიგრაფებმა შარლ-იოზეფ მაიემ და შარლ-ჟორჟ-თომას გარნიემ გამოსცეს ფერიათა ზღაპრების კრებული „Le cabinet des fées, ou Collection choisie des contes des fées, et autres contes merveilleux“ ორმოცდაერთ ტომად. ტომეული დაიბეჭდა პარიზის, ამსტერდამის, ჟენევის გამომცემლობებში. ეს არის ყველაზე ვრცელი გამოცემა ფრანგული და აღმოსავლური ზღაპრებისა XVII-XVIII საუკუნეებში. ტომებს ახლავს ბიბლიოგრაფია და შენიშვნები მაშინდელი ცნობილი გამომცემლებისა და ავტორებისა. კორპუსი შედგენილია როგორც ევროპული ლიტერატურული ზღაპრებისგან, ასევე შესულია „ათას ერთი ლამის“ და სხვა აღმოსავლური მოთხრობების ტექსტები.

1786 წელს გამოსულ ტომში მოთხრობათა ორი ციკლია: 1) სპარსეთის სულთან ქალისა და მისი ვეზირების ამბავი და 2) ზულმას მოგზაურობა. მოთხრობათა პირველ ციკლში ჩართულია ეგვიპტის სულთან აქშიდის ისტორია, რომელიც ATU 976 სიუჟეტს შეიცავს.

1812 წელს აღმოსავლური ზღაპრების ინგლისური კრებული გამოსცა ჰენრი უილიამ ვებერმა

“Tales of the East”, რომელიც აღმოსავლური წარმოშობის ყველაზე პოპულარულ რომანტიკულ ისტორიებსა და მათ ევროპულ მიბაძვებს შეიცავდა. წიგნს ვრცელი შესავალი და ავტორთა შენიშვნები ერთვის (Weber 1812). მასში შედის: 1) არაბული ლამეები და ახალი არაბული ლამეები; 2) სპარსული ზღაპრები, აღმოსავლური ზღაპრები და დამატებითი ზღაპრები არაბული ლამეებიდან; 3) მონღოლური, თურქული, თათრული და ჩინური ზღაპრები და სხვა.

1825 წელს არაბული ზღაპრები, შევსებული ტუნისური ხელნაწერის საფუძველზე, გერმანულად თარგმნა მაქს ჰაბიხტმა. ამ კრებულში შედის ზღაპრები „ათას ერთი ლამიდანაც“ და სხვა ისტორიები, რომლებიც მიეწერება „ათას ერთი ლამეს“, მაგრამ არ არის მისი ორგანული ნაწილი და ზოგიერთი ხალხური წარმოშობის უნდა იყოს. ზღაპრები ამ კრებულიდან დაბეჭდილია გუსტავ ვაილის კრებულშიც, რომელიც 1838 წელს და შემდგომ წლებში მრავალჯერ გამოიცა გერმანიაში.

ეს წიგნები წარმოადგენენ აღმოსავლური და ევროპული ლიტერატურული ზღაპრების კრებულებს, რომლებიც, თუ მთარგმნელებსა და ავტორებს ვერნმუნებით, ჭეშმარიტი აღმოსავლური წყაროებიდან უნდა იყოს გადმოტანილი ევროპულ ენებზე. საერთო ჯამში, ეს გამოცემები ლიტერატურული ზღაპრების გარდა ხალხურ თხრობით ტრადიციასაც ასახავენ. მათში ხალხური სიუჟეტებიც მრავლად გვხვდება, თუმცა საფუძვლიანად გადამუშავებული სახით.

აღმოსავლური ზღაპრები საქართველოში

როცა აღმოსავლეთით გატაცებაზე ვსაუბრობთ XVIII საუკუნის ევროპაში, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ სულხან-საბა ორბელიანის (1658-1725) „სიბრძნე სიცრუისას“ (ორბელიანი 1957), რომელიც იმავე პერიოდს განეკუთვნება, როდესაც „ათას ერთი ლამის“ პირველი ფრანგული თარგმანი შეიქმნა. „სიბრძნე სიცრუისას“ ორიგინალობის საკითხის შესახებ ჯერ კიდევ ალექსანდრე ცაგარელს ეკუთვნის გამოკვლევა. მან სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები „პანჩატანტრას“, „ჰიტოპადეშას“, „ანვარი სოჰაილის“, „ათას ერთი ლამის“, მხითარ გოშისა და „თუთინამეს“ არაკებს შეადარა და მივიდა დასკვნამდე, რომ „სიბრძნე სიცრუისა“ არ არის ამ კრებულების თარგმანი და მიბაძვა, არამედ ორიგინალური ქართული ნაწარმოებია: „მისი შინაარსი ამოღებულია მთლიანად ხალხის ნიალიდან და, თუ ზოგიერთი არაკი უცხო ერთა არაკებში პოულობს შესატყვისს, ის, ყოველ შემთხვევაში, ლიტერატურული გზით არ უნდა იყოს შემოსული ჩვენშიო“ (კეკელიძე 1958: 455).

უახლესმა ლიტერატურათმცოდნეობითმა კვლევებმა აჩვენა, რომ პერსონაჟების სახეებისა და ფაბულური პასაჟების დამუშავების თვალსაზრისით სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ სრულიად ორიგინალური ნაწარმოებია. ნინო პოპიაშვილის მონოგრაფიაში დასაბუთებულია, რომ საერთო სიუჟეტები და

თანხვედრი ეპიზოდები სხვადასხვა ავტორთან ყოველთვის მიბაძვასა და გავლენას არ ნიშნავს (პოპიაშვილი 2005: 4).

მიუხედავად იმისა, რომ „სიბრძნე სიცრუისა“ ორიგინალური ნაწარმოებია, მისი მსგავსება სხვა აღმოსავლურ იგავ-არაკების კრებულებთან მაინც შესამჩნევია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქართული ლიტერატურა არ არის შორს ევროპულ და აღმოსავლურ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესებისგან.

უფრო ადრეც, შუა საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში გვხვდება თხზულებები, რომელთა სიუჟეტები მკვლევრებს ავარაუდებინებს, რომ ისინი „ათას ერთი ლამის“ ზღაპრებიდან უნდა ყოფილიყო გადმოღებული, მაგალითად, „ბახთიარნამე“ და „თიმსარიანი“.

„ბახთიარნამე“ XIII საუკუნეში შედგენილი თხზულებაა, რომელიც სპარსულიდან ქართულად ითარგმნა 1703-1711 წლებში ვახტანგ მეექვსის ბრძანებით. ნაწარმოებს საფუძვლად უდევს სინდბადის ამბავი, რომელიც „ათას ერთი ლამის“ კრებულშიც არის შესული, თუმცა მის ორგანულ ნაწილად არ ითვლება. „ბახთიარნამე“ აღწერს აჯამის მეფე აზდაბახთის შვილის ბახთიარის ამბავს. ნაწარმოების სტრუქტურა აგებულია არაკების თხრობაზე, რომლებსაც ცხრა ვეზირი ჰყვება (კეკელიძე 1958: 471-472).

„თიმსარიანი“ შეიცავს შვიდი ვეზირის მოთხრობილ არაკებს. ქართული სათაური მომდინარეობს სპარსული სიტყვისგან „თიმსარი“, რაც იგავ-არაკს, ამბავს ნიშნავს. ეს თხზულება ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლურ და დასავლურ სამყაროში. არსებობს მისი ფალაური, არაბული, სპარსული, ებრაული, ასურული, ბერძნული და ესპანური თარგმანები. „თიმსარიანი“ ქართულად თარგმნილია „დიდი სინდბადის“ XII საუკუნის სპარსული პროზაული ვერსიიდან თეიმურაზ მეორის მიერ. თვითონ სპარსული დედანი, ე.წ. სამარყანდის რედაქცია დაკარგულია (კეკელიძე 1958: 472-476).

„ბახთიარნამესა“ და „თიმსარიანს“ ვერ ჩავთვლით „ათას ერთი ლამის“ თარგმანებად, აქ შეიძლება მხოლოდ გარკვეულ სტილისტურ გავლენაზე ვილაპარაკოთ.

„ათას ერთი ლამის“ ცალკეული მოთხრობის ქართული თარგმანები მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოდან ჩნდება, ისიც რუსული ენიდან. ასეთი გამოცემებია, მაგალითად: „ათას ერთი ლამე, არაბული ზღაპრები, მოთხრობა შაჰერაზადასი“ (1894), „ათას ერთი ლამე, ყრმათა საკითხავი, არაბული ზღაპარი სურათებით“ (1895), „ალადინი ანუ თვალთ მაქციური ლამა და ზღაპარი დისა და ძმისა“ (1888) და სხვ.

„ათას ერთი ლამის“ ქართული თარგმანი არაბულიდან სრულად, კომენტარებითა და სამეცნიერო აპარატით გამოიცა 1967-1984 წლებში.

ვ. სიღამონიძის მცირე ნარკვევიდან „ათას ერთი ლამის“ ფრაგმენტულ თარგმანებზე ვიგებთ, რომ არსებობს ცნობები ლეონიდ ბარათაშვილის, კირილე ლორთქიფანიძის და სილოვან ხუნდაძისეული თარგმანები. ვ. სიღამონიძე წერს 1903 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი წერილის შესახებ. უცნობი კორესპონდენტი მკითხველს არწმუნებს, რომ არსებობს „ათას ერთი ლამის“ სრული ქართული თარგმანი და ის ქართლის სოფელ ხცისში თავად თომა ციციშვილის ოჯახში

ინახება. „თურმე, შენიშნავს კორესპონდენტი, – სხვა თარგმანის გამოცემა დაუპირებია ვასილ ბეჟანეიშვილს და წიგნის დასურათებაზე მოლაპარაკებაც გაუმართავს მხატვარ შმერლინგთან. ჩინებული საქმეა, მაგრამ უკეთესია, რომ „ათასერთლამიანის“ ძველი თარგმანი გამოსცეს, რადგანაც ხალხის გუნებისად იქნება თარგმნილი, როგორც სპარსულიდან და არაბულიდან გადმოღებული ყოველი სიტყვაკაზმული თხზულება. ვერ წარმოგვიდგენია, ახლა რომ ვინმემ თარგმნოს და გამოსცეს „ყარამანიანი“. კარგს ვიზამთ, „ათას ერთი ლამის“ ხელნაწერს თუ მივაკვლევთ და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადავცემთ“ (სიღამონიძე 1967: 7).

საქართველოში „ათას ერთი ლამის“ პირველი თარგმანები მესამე ენიდან – რუსულიდან შესრულდა. თავად რუსული თარგმანები XVIII საუკუნეში გამოჩნდა 1763-1795 წლებში. გალანის გადამუშავების რუსული თარგმანები მეტად პოპულარული გახდა, XIX საუკუნის მეორე ნახევარში უამრავი რუსული გამოცემა მომზადდა ცალკეული ზღაპრებისა. 1864 წლიდან 1918 წლამდე რამდენიმე ათეული წიგნი გამოვიდა სახელწოდებით „Арабские сказки“. თითქმის ყველა გამოცემა ფრანგულიდან არის თარგმნილი სხვადასხვა დროს მ. პრესნოვის, ს. ჟივაროვის, ი. კასიროვის, ბ. პოროზოვსკაიას და სხვათა მიერ (Крымский 1901: 470-473).

რა არის არაბული ზღაპარი? არის თუ არა „არაბული ლამეები“ და „არაბული ზღაპრები“ ერთმანეთის სინონიმები? რა კავშირია არაბულ ხალხურ ზღაპარსა და არაბულ ლიტერატურულ ზღაპარს შორის?

ხალხური ზღაპარი არაბულ ქვეყნებში

ზღაპრის თხრობის ტრადიცია ლიტერატურული მიმდინარეობების პარალელურად არსებობს. ჰასან ელ-შამის თანახმად, არაბულ-ისლამურ კულტურაში თხრობის სამ კატეგორიას გამოყოფენ: 1) ფორმალური რელიგიური ამბები, 2) ნახევრად ლიტერატურული მოთხრობები, რომლებიც ხალხური მასალისგან გადაამუშავეს რედაქტორებმა და 3) ხალხური გადმოცემები, რომლებიც არ არის ფიქსირებული წერილობით. ეს კატეგორიები თავის სუბსისტემას ქმნიან; მთხრობელს თავისი ფუნქცია აქვს, მოქმედების სფერო და შესაბამისი სტატუსი. ზოგიერთი ხალხური ლეგენდა რელიგიური ლიტერატურისთვის მისაღებია. ასევე, ზოგიერთი ლიტერატურული ამბავი ზეპირად გადაიცემა. ამგვარად, თითოეული კატეგორია ერთმანეთზე გადაჯაჭვულია, რომელიც ადაპტაციას ელოდება. ამის მიუხედავად, მაინც თითოეული კატეგორია თვითმყოფადი, დამოუკიდებელი და ავტონომიურია თავისი კანონებით (El-Shamy 1990: 63-117).

მუსლიმი თეოლოგების მიხედვით, მოთხრობა სინამდვილის ამსახველი უნდა იყოს და განკუთვნილი დიდაქტიკურ-რელიგიური ან ეთიკური მიზნებისთვის, როგორც არის qissah – ამბავი. ჩვეულებრივ, უფროსი მამაკაცები უპირატესობას ანიჭებდნენ რელიგიური, ფილოსოფიური თუ სხვა სერიოზული ქისას თხრობას და არა ფანტასტიკურ, დაუჯერებელ haddūtah – ჯადოსნური ზღაპარი, ნოველისტური

და ფორმულა-ზღაპარი. სპარსულ „hazâr ‘afsâneh“ და არაბულ „ათას ერთი ლამის“ შუა საუკუნეების მუსლიმი ბიბლიოგრაფები უწოდებენ khurâfâ-ს, ფანტასტიკურ, დაუჯერებელ მოთხრობებს, მითებს, რა მნიშვნელობაც ამ სიტყვას ქრისტიანობის მიღების შემდეგ აქვს.

საოცარია, მაგრამ ბევრი ზღაპარი, რომელიც არაბულენოვან ქვეყნებში ფართოდ არის გავრცელებული, არ არის შესული „ათას ერთი ლამის“ კრებულში. ესენია, ე. წ. „ფორმულა-ზღაპრები“, ცხოველთა ზღაპრის ტიპი ATU 123, ჯადოსნური ზღაპრები, როგორცაა ATU 310; 327; 403; 408; 432; 450; 451; 480; 510; 510B; 511; და რეალისტური ზღაპრები ATU 720; 872; 879; 894; 898; 923C. ჰასან ელ-შამის გამოკვლევით, ესენია ჯადოსნური ზღაპრის ტიპები, როგორცაა, მაგალითად:

ATU 327B ბავშვები და გოლიათი

ATU 403 შავი და თეთრი საცოლე. მახინჯი საცოლე ლამაზის ნაცვლად

ATU 408 სამი ფორთოხალი. ფორთოხლის პრინცესას ძებნა

ATU 432 უფლისწული – ფრინველი

ATU 450 პატარა და-ძმა. სახლიდან გაქცევა. ძმა გადაიქცევა ირმად. დას შურიანი მეტოქე კლავს

ATU 480 ქალი თითისტარით. კეთილი და ავი გოგონები. კეთილი გერი ჯილდოდება, ავი – ისჯება

511A პატარა წითელი ხარი. ძროხა ეხმარება ობლებს (და-ძმას).

უფრო ბევრ მსგავსებას „ათას ერთ ლამის“ ზღაპრებისა ხალხურ ზღაპრებთან რეალისტურ ქვეყანარში ვხვდებით. ულრის მარცოლფის მიერ შედგენილი საძიებლის მიხედვით, რაოდენობრივად ყველაზე მეტი შესაბამისობა „ათას ერთ ლამის“ მოთხრობებისა საერთაშორისო კატალოგის ნუმერაციასთან, რეალისტური (ხალხური ნოველა) და ანექდოტური ტიპის ზღაპრებში გვხვდება (Marzolph 2005: 23).

ხალხური ზღაპრისა და ლიტერატურული ზღაპრის საერთო სიუჟეტი: ATU 976

ლიტერატურული სიუჟეტის გახალხურების და, პირიქით, ზეპირად გავრცელებული სიუჟეტის ლიტერატურულად დამუშავების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ზღაპარი სულგრძელობაზე, რომლის საერთაშორისო სიუჟეტური ნომერია ATU 976 [ვინ უფრო დიდსულოვნად მოიქცა?]. ამ ტიპის მოთხრობა მიეკუთვნება რეალისტური ზღაპრების (ხალხური ნოველის) კატეგორიას და სხვადასხვა ხალხური და ლიტერატურული ვერსიის შეჯერების საფუძველზე შემდგენაირად არის აღწერილი:

ქორწილის ღამეს კაცი ნებას რთავს ცოლს, მოინახულოს თავისი ძველი შეყვარებული და შეუსრულოს ადრე მიცემული პირობა (ან – ზოგი ვარიანტით, გააუქმოს ნიშნობა). გზაში ქალი გადაეყრება ყაჩაღებს, მაგრამ როცა თავის ამბავს უამბობს, ისინი უვნებლად გაუშვებენ. მას შემდეგ, რაც შეყვარებული მოისმენს ქალის ქმრისა და ყაჩაღის დიდსულოვნების ამბავს, ქალს ხელუხლებლად

დაუბრუნებს უკან. ზოგ ვარიანტში ეს ზღაპარი მოქცეულია სხვა ზღაპრის ჩარჩოში: სამი (ან ოთხი) ძმა იმემკვიდრებს მამის ქონებას. ერთ-ერთი მათგანი ქონებას იპარავს. გაქურდული ძმები მოიწვევენ ბრძენს (სხვადასხვა ვარიანტით, მოსამართლე / მეფე / სოლომონი), რომელიც აღმოაჩენს ქურდს. ბრძენი (ან მისი ქალიშვილი) იწყებს ზემოთხსენებული ამბის მოყოლას. ქურდი მაშინვე გამოავლენს თავს, როცა უნებლიედ წამოსცდება პასუხი კითხვაზე: „ვინ უფრო დიდსულოვნად მოიქცა?“. ის პასუხობს, რომ ყაჩაღია ყველაზე სულგრძელი ან უპასუხებს სხვა შეკითხვებს ისე, რომ თავს გამოავლენს (Uther 2004: 608).

ფოლკლორისტთა კვლევებისა და „არაბული ღამეების ენციკლოპედიის“ თანახმად, ამ სიუჟეტის სამშობლო ინდოეთია. პირველად ის დაფიქსირებულია ბუდისტურ თხზულებაში „Tripitaka“ (ახ. წ. III ს.). სხვა ადრეული ვერსიები გვხვდება ინდურ კრებულში „Vetalpancavimsatika“ (ამბების ოკეანე), ასევე „Tuti-name“-ს სხვადასხვა რედაქციაში. ეს სიუჟეტი ევროპის ლიტერატურულ ტრადიციაშიც არსებობს: ბოკაჩოს „დეკამერონსა“ და ჩოსერის „ფრანკლინის ამბავში“ (Marzolph 2004: 412).

ATU 976 ტიპის ზღაპრის აღმოსავლური სიუჟეტის გადამუშავება გვხვდება 1786 წლის ფრანგულ გამოცემაში „Le cabinet des fées“. წიგნში მოთხრობათა ორი ციკლია: 1) სპარსეთის სულთანი ქალისა და მისი ვეზირების ამბავი და 2) ზულმას მოგზაურობა.

მოთხრობათა პირველ ციკლში ჩართულია ეგვიპტის სულთანი აქშიდის ისტორია, რომელიც შეიცავს ATU 976 სიუჟეტს: ეგვიპტის სულთანი სიკვდილის მოახლოებას იგრძნობს და შვილებს დაუბარებს, რომ მათთვის საგანძური აქვს, რომელიც ურთიერთშორის უნდა გაიყონ. სულთნის სიკვდილის შემდეგ მისი უმცროსი ვაჟი ზარდახშას მოიპარავს. ძმები მალევე იპოვიან ზარდახშას, მაგრამ ცარიელს. ისინი სიმართლის საძებნელად მიდიან ყადისთან, რომელიც აი ამ ამბავს უამბობს: ერთ ყმანვილ ქალს თავისი ბიძაშვილი უყვარს, მაგრამ სხვას მიათხოვებენ. ის გულწრფელად გაუმხელს ქმარს, რომ მისი გული სხვას ეკუთვნის და ქმარიც ასევე გულწრფელად გაუშვებს მას შეყვარებულთან. გზაში ქალს ყაჩაღი გადაეყარა. ქალმა ყაჩაღს თავისი ამბავი უთხრა, მან, თავის მხრივ, სულგრძელობა გამოიჩინა და ქალი გაუშვა. ქალის სატრფო მოხიბლულია ქმრის კეთილშობილი საქციელით და ქალს უკან დაუბრუნებს. ამბის დასრულების შემდეგ ყადი ძმებს ეკითხება, ვინ უფრო დიდსულოვნად მოიქცა. უფროსი ძმები უპირატესობას შეყვარებულს ანიჭებენ, უმცროსი – ყაჩაღს და ამით ყადი მასში ქურდს ამოიცნობს (Le cabinet des fées 1786, 173-187).

იგივე ტექსტი ინგლისურად გამოქვეყნებულია 1812 წლის გამოცემაში „Tales of the East“ უილიამ ვებერის მიერ სათაურით „The History of Sultan Aqschid“ (Tales of the East 1812, 203-206).

ინგლისურ და ფრანგულ გამოცემებში ეს ზღაპარი თურქული ზღაპრების ციკლში შედის. გერმანულ გამოცემებში კი ის „ორმოცი ვეზირის“ ნარატიულ ციკლს განეკუთვნება.

გერმანული ვერსია სახელწოდებით „Geschichte des Sultans Aqschid“ გამოქვეყნებულია 1825 წელს მაქს ჰაბიხტის „ათას ერთი ღამეში“ (Habicht 1825, 14. Nacht)

და შემდგომ, გუსტავ ვაილის 1838 წლის გამოცემაში (Weil 1938). ორივე მთარგმნელი სათაურშივე აცხადებს სანდო წყაროებს. მაქს ჰაბიხტი ირწმუნება, რომ მისი თარგმნილი „ათას ერთი ლამე“ ტუნისურ ხელნაწერს ეყრდნობა, ხოლო გუსტავ ვაილი წერს, რომ მან პირველად თარგმნა უძველესი არაბული ტექსტი.

„ორმოცი ვეზირის“ მოთხრობათა ციკლი საერთოდ არ არის „ათას ერთი ლამის“ შემადგენელი ნაწილი. მხოლოდ ჰაბიხტისა და ვაილი მიაკუთვნებენ მას „ათას ერთი ლამეს“. სხვა კრებულებში, ინგლისურში, ფრანგულში ეს ტექსტი უბრალოდ აღმოსავლური ზღაპარია.

„ორმოცი ვეზირი“ ჩარჩოიანი თხრობის ციკლია და შეესაბამება ისტორიებს „ქალთა მოხერხებისა და მზაკვრობის“ შესახებ, თუმცა განსხვავებულ ზღაპრებს შეიცავს. შენიშვნაში გერმანელი მთარგმნელი მიუთითებს, რომ „ორმოცი ვეზირის“ ისტორია არ არის „ათას ერთ ლამეში“, მაგრამ სრულყოფილებისთვის ჩართო სხვა წყაროებზე დაყრდნობით (Marzolph 2004: 187-188).

ფრანგმა ორიენტალისტი ვიქტორ შოვენი თავის კრიტიკულ შენიშვნებში არაბული ლიტერატურის შესახებ უარყოფს ამ ზღაპრის არაბული ხელნაწერიდან წარმომავლობას და მას უცნობ წყაროს უწოდებს. არაბული ზღაპრების მოგვიანო ფრანგულ გამოცემებშიც არის ეს ზღაპარი ჩართული „უდარდელი სიყმაწვილის მომხიბვლელი ზღაპრების“ სერიაში: ჰაბიბი და ჰაბიბა ბიძაშვილები იყვნენ და ბაღდადში ცხოვრობდნენ. ისინი ერთად იზრდებოდნენ და ერთმანეთი უყვარდათ, მაგრამ ჰაბიბა სხვას მიათხოვეს. როცა ის ქორწილის ლამეს ატირდა, ქმარმა ის თავის შეყვარებულს მიუყვანა. საბოლოოდ ჰაბიბი და ჰაბიბა ერთად დარჩნენ (Marzolph 2004: 159-160).

ზღაპარი სულგრძელობაზე ჩარჩოში ჩასმული თხრობაა, ისე, როგორც ჩვეულებრივ გადმოცემულია „ათას ერთი ლამის“ ზღაპრები.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეს სიუჟეტი ჩარჩოიანი თხრობის ნაწილია ხალხურ ტრადიციაშიც, მათ შორის ქართულში. გადაწყვეტილების მისაღებად, მოსამართლე ჰყვება ამბავს და შეკითხვას უსვამს მსმენელებს, რათა მათი პასუხით ამოიცნოს, თუ ვინ მოიპარა მეფის ზარდახმა.

ლიტერატურული ვერსიების გარდა „დიდსულოვანი საქციელის“ საზღაპრო ტიპი ATU 976 საყოველთაოდ გავრცელებულია ევროპისა და აზიის ქვეყნებში და სამხრეთ ამერიკაშიც კი. არსებობს ამ ტიპის ხალხური ზღაპრის შოტლანდიური, ირლანდიური, სლოვენური, ბოსნიური, ბერძნული, რუსული, თურქული, ებრაული, სომხური, ყაზახური, თურქმენული, ტაჯიკური, ირანული, ინდური, ჩინური, მექსიკური, ჩილესა და არგენტინური ვერსიები (Uther 2004: 609). ზეპირსიტყვიერი ვერსიებიდან პროცენტულად ყველაზე ბევრი ინდოეთში, შუა აზიაში და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებშია დაფიქსირებული (Schoenfeld 1990: 460).

ATU 976 ტიპის ზღაპრის არამეული ვერსია სხვა ვერსიებთან შედარებით ვრცელია და ლიტერატურული სტილის გავლენა შეინიშნება (წერეთელი 1975: 167-177). დიალოგებით, თხრობის ექსპრესიულობითა და პერსონაჟთა ემოციების ასახვით, რაც ხალხური ტექსტისთვის ნაკლებად არის დამახასიათებელი, ეს ზღაპარი „ათას ერთი ლამის“ მოთხრობების მსგავსად არის გადმოცემული.

მოქმედი პირები სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან: შეიხი, ვაჭარი, ყაჩაღი. ფინალურ მონოლოგში ქალის შეყვარებული ამ სოციალურ განსხვავებას ხაზს უსვამს და საკუთარ თავს მათზე მაღლა აყენებს: „მე შეიხის შვილი ვარ, კეთილშობილი გვარისა. ამიტომ კეთილშობილება და რაინდობა მმართვეს. თუ ვაჭარი, რომელიც მთელი სიცოცხლე მოგება-წაგებაზე ფიქრობს, სულგრძელობას იჩენს, მე მით უმეტეს არ შემფერის მასზე მდაბალი საქციელიო“. მას შემდეგ, რაც ყოფილი შეყვარებული ქალს უკან დაუბრუნებს კანონიერ ქმარს – ვაჭარს, ისიც აღნიშნავს შეიხის უპირატესობას: „ვხედავ, ეს ვაჟი ჩემზე ლამაზიცაა და ჩემზე კეთილშობილი გვარისაც. მაშ, როგორ მოხდა, რომ მამაშენმა თავისი ძმისწული დაიწუნა სასიძოდ და შენი თავი მე მომათხოვა?! თუმცა, ამას ახლა არა აქვს მნიშვნელობა, ეს ვაჟი დღეიდან ჩემი ძმაა [...] ახლა მე ალალი გულით გიბრუნებ ქალს, მაგრამ თუ ჩემი ცოლი გახდა და მერე კვლავ შენი ხსენება დაიწყო, მაშინ ჩვენ მხოლოდ სიკვდილი გაგვასწორებს. ჰოდა, დაფიქრდეს ქალი, თუ ამ პირობას ვერ მიიღებს, მაშინ სჯობს ახლავე წაიყვანო. – რაკი ჩემი ბიძაშვილი თანახმაა, შენი ვიყო, აღარც მე ვამბობ უარს შენს ცოლობაზეო, – თქვა ქალმა“ (ნერეთელი 1975: 176).

ეს საზღაპრო ტიპი გავრცელებულია ქართულ ფოლკლორშიც. ქართული ზღაპარი ჩანერილია 1961 წელს, ქართლის სოფ. მისაქციელში (მთქმელი ი. ჩანადირი, ჩამწერი ო. გოგიჩაიშვილი, ფაქ56გვ14), ინახება შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში. ზღაპარი დასათაურებულია როგორც „სამი ძმა“. სიუჟეტი ზუსტად შეესატყვისება საერთაშორისო კატალოგში ATU 976 ტიპის აღწერილობას. მოქმედი პირები არიან: სამი ძმა (სოციალური სტატუსი არ არის მითითებული), მეცნიერი და მეცნიერის ქალიშვილი, რომელიც თვითონ იგონებს თავის თავგადასავალს. მისი ამბავი პირველ პირობა მოთხრობილი: ერთი წვეულების დროს უცნობ ახალგაზრდა კაცს პირობა მისცა, რომ მასზე გათხოვდებოდა. ერთხელ წყაროზე წასული თათრებმა გაიტაცეს. ქალმა გამტაცებლებს უთხრა, რომ პირობა ჰქონდა მიცემული ცოლობაზე ერთი ბიჭისთვის და სთხოვა, ფიცს ნუ გაატეხინებდნენ. თათრებმა თვითონვე მიიყვანეს მასთან და გარეთ დაელოდნენ. ქალმა საქმროს უამბო თავისი თავგადასავალი. ბიჭი მოიხიბლა თათრების საქციელით და ქალს ძმობა შეჰფიცა. ქალი თათრებთან დაბრუნდა. თათარი, რომელსაც მისი შერთვა ჰქონდა გადაწყვეტილი, მანაც უარი თქვა ქორწინებაზე და ძმად გაეფიცა. ქალი შინ დაბრუნდა და სხვაზე გათხოვდა (Georgian Folklore Database, ID 1526).

ზღაპარი სულგრძელობაზე ერთნაირად მომხიბვლელი აღმოჩნდა ლიტერატურაშიც და ფოლკლორშიც, აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც. ამაზე მეტყველებს ამ ზღაპრის გეოგრაფიულად გავრცელების არეალიც და ქრონოლოგიური დიაპაზონიც. ამ სიუჟეტის ინტერპრეტაციას ვხვდებით კინემატოგრაფიაშიც. ინდოელი რეჟისორის სანჯაი ლილა ბჰანსალის 1999 წელს გადაღებულ რომანტიკულ დრამას “Hum Dil De Chuke Sanam” (ჰინდ. „მე ჩემი გული გაჩუქე, ძვირფასო“) საფუძვლად უდევს ორი რომანი, მირჩა ელიადეს „ბენგალიური ლამეები“ (Eliade 1994) და მაიტრეი დევის „ის არ კვდება“ (Devi 1976), მაგრამ ფაბულის მთავარი ხაზი

სწორედ სიყვარულის სამკუთხედის ზღაპრისეულ ვერსიას ემთხვევა: მას შემდეგ, რაც ახალშერთული ცოლი (აიშვარია რაი) ქმარს (აჯაი დევგანი) ყოფილი შეყვარებულის (სალმან კჰანი) ამბავს გაუმხელს, ქმარს იგი მის საქმენელად მიჰყავს. ბოლოს შეყვარებულთა შეხვედრა მათი დაშორებით და ქალის ქმართან დაბრუნებით მთავრდება, რაც ორივეს ნებით ხდება – სანამ ცოლ-ქმარი მოგზაურობდა, მათ ერთმანეთი შეუყვარდათ.

ზეპირი ტრადიცია და ლიტერატურული ტრადიცია ერთმანეთის პარალელურ კატეგორიებს განეკუთვნება. აღმოსავლურ-დასავლურ საერთო საზღაპრო სიუჟეტებზე დაკვირვება საინტერესოა როგორც სიუჟეტთა ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, ისე ლიტერატურული და ხალხური თხრობითი ტრადიციების ურთიერთმიმართების კვლევისთვის. აღმოსავლური კრებულები ევროპის ქვეყნებში უფრო მეტად ფილოლოგიკური მანერებითაა, ვიდრე თავად აღმოსავლეთის ლიტერატურულ ტრადიციას ასახავს და კიდევ უფრო ნაკლებად – ზეპირსიტყვიერებას. ევროპული თარგმანებით უფრო მეტს ვიგებთ თვითონ ევროპელ მკითხველზე და ავტორზე, ვიდრე აღმოსავლურ ლიტერატურაზე. აღმოსავლური ზღაპრების ევროპული რეცეფცია უპირველეს ყოვლისა კულტურათა შეხვედრის და ურთიერთპატივისცემის დადასტურებაა და მხოლოდ ამის შემდეგ, ნყარო ზეპირი და ლიტერატურული ტრადიციების ურთიერთმიმართების შესწავლისთვის.

დამონშებანი:

- Al-Hakim, Tavpik. “Korts’inebis Ghame” (Targmna Nunu Berozashvilma). *Egvip t’uri Novelebi*. Tbilisi: gamomtsemloba „samshoblo“, 1998 (ალ-ჰაკიმი, თავფიკ. „ქორწინების ლამე“ (თარგმნა ნუნუ ბეროზაშვილმა). *ევვიპტური ნოველები*. თბილისი: გამომცემლობა „სამშობლო“, 1998).
- Bausinger, Hermann. *Formen der ‘Volkspoese’*. *Grundlagen der Germanistik*. Berlin: E. Schmidt, 1980.
- Le Cabinet de fées, ou collection choisie des contes de fées et autres contes merveilleux*. Tome seizième. Amsterdam/Paris: [s.n.], 1785-89.
- Cocchiara, Giuseppe. *The history of folklore in Europe*. Translated from the Italian by John N. McDaniel. Philadelphia: Institute for the Study of Human Issues, 1981.
- The Book of the Thousand Nights and A Night*. A Plain and Literal Translation of Arabian Nights Entertainment. Translated and annotated by Richard Francis Burton (1894). Web. 17 December 2014. <https://ebooks.adelaide.edu.au/b/burton/richard/b97b/complete.html>
- Devi, Maitreyi. *It Does Not Die: A Romance*. Chicago: University of Chicago Press, 1976.
- Eliade, Mircea. *Bengal Nights*. Chicago: University of Chicago Press, 1994
- El-Shamy, Hasan. “Oral Traditional Tales and the *Thousand Nights and a Night*: The Demographic Factor”. *The Telling of Stories: Approaches to a Traditional Craft*. Edited by Morton Nøjgaard, J. de Mylius, I. Piø, and Bengt Holbeck. Odense: Odense University Press 1990: 63-117.
- Georgian Folklore Database*. Fundamentals of an Electronic Documentation of Caucasian Languages and Cultures ‘Armazi’. Rustaveli Institute of Georgian Literature. Folklore Archive. Web. 29.09.2006. <http://armazi.uni-frankfurt.de/armaz9m.htm>
- Gerhardt, Mia Irene. *The Art of Story-Telling. A Literary Study of the Thousand and One Nights*. Leiden: E. J. Brill, 1963.
- Grotzfeld, Heinz. „Galland, Antoine“. *Enzyklopädie des Märchens*. Bd. 5. Berlin/New York: Walter de Gruyter, 1987: 660-662.

- Grotzfeld, Heinz. „Hanna Diyab“. *Enzyklopädie des Märchens*. Bd. 6. Berlin/New York: Walter de Gruyter 1990: 485-487.
- Habicht, Max. Tausend und Eine Nacht. Arabische Erzählungen. Zum erstenmal aus einer Tunesischen Handschrift ergänzt und vollständig übersetzt von Max Habicht, F. H. Von der Hagen und Karl Schall. 15 vols. Breslau: Josef Max und Komp. 1825.
- K'ek'elidze, K'orneli. *Dzveli Kartuli Lit'erat'uris Ist'oria*. Tbilisi: TSU gamomtsemloba, 1958 (კეკელიძე, კორნელი. *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1958).
- K'rymsk'y, Agafangel. „T'ysjacha i Odna Noch“. *Entsik'lop'edichesk'i Clovar* Brockhaus-Efron, Tom 67, St. Petersburg, 1901: 270-273 (*Крымский, Агафангел*. „Тысяча и одна ночь“. Энциклопедический Словарь Ф.А.Брокгауза и И.А.Ефрона. Т. 67, СПб, 1901: 270-273).
- Lang, Andrew. *The Blue Fairy Book* (1889). Web. 17 December, 2016. <http://www.gutenberg.org/files/503/503-h/503-h.htm>
- Marzolph, Ulrich. “The Arabian Nights in Comparative Folk Narrative Research”. Tetsuo Nishio and Yuriko Yamanaka. *The Arabian Nights and Orientalism: Perspectives from East and West*. London/New York: I. B. Tauris, 2005: 3-15.
- Marzolph, Ulrich, Richard van Leeuwen, and Hasan Wassouf. *The Arabian Nights Encyclopaedia*. Volume I. Oxford/ Denver /Santa Barbara: ABC Clío, 2004.
- Orbeliani, Sulxhan-Saba. *Sibrdzne Sitsruisa*. Tbilisi: gamomtsemloba „sach'ota mts'erali“, 1957 (ორბელიანი, სულხან-საბა. *სიბრძნე სიცრუისა*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, 1957).
- P'op'iashvili, Nino. *P'ersonazhis Khatvis Taviseburebebi Sulxhan-Saba Orbelianis „Sibrdzne Sitsruisashi“*. PhD Diss. TSU, 2005 (პოპიაშვილი, ნინო. *პერსონაჟის ხატვის თავისებურებები სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისაში“*. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თსუ, 2005).
- Schoenfeld, Elisheva. „Handlung: Die vornehmste Handlung (AaTh 976)“, *Enzyklopädie des Märchens*. Bd. 6. Berlin/New York: Walter de Gruyter 1990: 459-464.
- Sidamonidze, Vakhtang. „Atas Erti Ghamis Adreuli Targmanebi“. *Gaz. Lit'erat'uruli Sakartvelo*, №27, 7 ivlisi, 1967: 5 (სიდამონიძე, ვახტანგ. „ათას ერთი ღამის ადრეული თარგმანები“. *გაზ. „ლიტერატურული საქართველო“*, № 27, 7 ივლისი 1967: 5).
- Tales of the East, comprising the most popular romances of Oriental origin and the best imitations by European authors, with new translations and additional tales never before published*. By Henry Weber [Texte imprimé]. Edinburgh: Ballantyne, 1812.
- Ts'ereteli, Giorgi. „Atas Erti Ghamis Gamo“. *Atas Erti Ghame*. T'. I. Arabulidan Targmna da Ganmart'ebebi Daurto Nana Purtseladzem. Tbilisi: gamomtsemloba „sach'ota Sakartvelo“, 1969: 3-14 (წერეთელი, გიორგი. „ათას ერთი ღამის გამო“. *ათას ერთი ღამე*. ტ. I. არაბულიდან თარგმნა და განმარტებები დაურთო ნანა ფურცელაძემ. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1969: 12-13).
- Ts'ereteli, K'onst'ant'ine. *Asuruli Zgap'rebi*. K'rebuli Sheadgina, Asurulidan Targmna, Ts'inasi't'q'vaoba da Shenishvnebi Daurto K'onst'ant'ine Ts'eretelma. Tbilisi: gamomtsemloba „nak'aduli“, 1975 (ასურული ზღაპრები. კრებული შეადგინა, ასურულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო კონსტანტინე წერეთელმა. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1975).
- Uther, Hans-Jörg. *The Types of International Folktales. A Classification and Bibliography. Based on the System of Antti Aarne and Stith Thompson*. Part I. Helsinki: Academia Scientiarum Fennica, 2004.
- Weil, Gustav. Tausend und eine Nacht. Arabische Erzählungen. Zum Erstenmale aus dem arabischen Urtext übersetzt von Dr. Gustav Weil. 4 vols. Stuttgart/Pforzheim: Verlag der Klassiker, 1838.

Elene Gogiashvili
(Georgia)

Oriental Tales in Europe: Literary and Oral Versions of Arabian Nights

Summary

Key words: folktale, folklore, literature, Orient, Europe.

This research was done as a part of the project *Orient and Occident in Georgian Folktales: Oral and Literary Traditions* [FR 217488], supported by Shota Rustaveli National Science Foundation Georgia.

During the Eighteenth Century, a romantic philosophical phenomenon about the “orient” kindled major interest in literary works such as *The Thousand Nights and a Night*, which Jean Antoin Galland translated into French in 1704 and the following years. The enthusiasm with which Galland’s translation has received among the general European public signaled the adoption of this Eastern narrative anthology in the West.

Western translators and editors of “*The Thousand and One Night*” added new texts to their European editions, for example, “*Aladdin and the Wonder Lamp*”, “*Ali-Baba and the forty thieves*”, “*The Story of Prince Ahmed and the Fairy Paribanou*”, “*The Voyages of Sindbad*” etc. They are not original stories of “*The Thousand and One Night*” but they are included in further collected fairy-tale-books by European editors.

What is Arabian folktale? Are “*Arabian nights*” and “*Arabian folktales*” synonyms? What form of interaction is between Arabian folktales and Arabian literature?

According to Hasan El-Shamy, The narrating of folktales survived almost exclusively outside the main stream of the literature. In Arab-Islamic cultures, three categories of narrative traditions may be designated: 1) formal religious– historical stories; 2) semi-literary narratives of folk extraction re-worked by literate editors and redactors, and 3) folk-oral tales, which remained unrecorded. The contents of each of these repertoires constitute a cognitive sub-system; the narrator of each is typically cast in a specialized role--which specifies a set of behavioral expectations— with a corresponding status. The fairytales belong to the women repertoire. However a dynamic relationship of exchange exists among these repertoires; some folk legends have been “institutionalized” into formal religious literature; while a few literary stories may have been adopted by oral tale-tellers. In this respect, each narrative category constitutes a repertoire of latent traditions for the others, awaiting adoption. Yet, each remains distinct, independent and autonomous in its own right.

Muslim theologians specified that narrating must be confined to “truthful” accounts of events and that a qissah (story) must be used for didactic-religious or ethical purposes. Typically, adult male narrators prefer to tell the religious, philosophical, or otherwise serious qissah, and refrain from narrating the haddûtah (fantasy tales, nouvelle, and formula tales). Muslim bibliographers call khurâfât predominantly entertaining narrative works such as the Persian hazâr ‘afsâneh (a thousand myths), and the Arabic *Alf laylah wa laylah* (*A Thousand Nights and a Night*). These and similar anthologies contained narratives typi-

cally labeled *khurâfât*, a term which denotes the fantastic and unbelievable, and, in this respect, is akin to the Greek term *mythos* after Christianity had been embraced.

Curiously enough, some tales which are highly recurrent in various parts of the Arab world are absent from the native editions of “The Thousand and One Night”. These include wonder tales as

ATU 327B The Children and the Ogre

ATU 403 The Black and the White Bride. Ugly bride substituted for beautiful bride

ATU 408 The Three Oranges. The quest for the Orange Princess. The false bride

ATU 432 The Prince as Bird

ATU 450 Little Brother and Little Sister. They flee from home; brother transformed into deer, sister nearly murdered by jealous rivals

ATU 480 The Spinning Women by the Spring. The Kind and Unkind Girls. Ogress rewards the kind stepsister and punishes the unkind

511A The Little Red Ox. Cow helps orphans (brother and sister).

More similarities between “The Thousand and One Night” and folktales we see in the subcategory of realistic tales. According to the “Index of AT Tale-Types in Major European Translations of the Arabian Nights” by Ulrich Marzolph, the most coincidences of Arabian Nights with folktale-types are in the area of realistic tales (*novelle*) and anecdotes.

The visible example of a literary plot in oral traditions is a story about the noblest act, included in “The Thousand and One Night”. This story forms part of the narrative cycle enframed by “The Forty Viziers”. It is told by the ruler’s wife to urge him to take action.

The sultan of Egypt, feels that his end is drawing near. The sultan tells his sons that he has deposited a box with jewels that they should divide among themselves. When he has died, the youngest son steals the box. His brothers soon find it, but it is empty. They consult the *qadi*, and he tells them a story. A young woman who is deeply in love with her cousin is married to someone else. On the wedding night, the young woman confesses her love to her husband and is generously allowed to visit her beloved. On the way she is spared by a thief who follows the example of her husband’s generosity; the lover is also impressed and sends her back to her husband. After finishing the story, the *qadi* asks them which of the three men was the most generous. While the two eldest sons choose the lover, the youngest son chooses the thief and thereby discloses his guilt.

This tale with both its characteristic frame story and the enframed narrative corresponds to the international tale-type ATU 976: Which was the noblest act?

On their wedding night, a man allows his bride to visit her former lover, in order to keep a promise she had made previously or, according to some oral variants, to cancel the engagement. On her way she meets a robber. When she tells him her story, he leaves her unmolested. When her lover hears about her bridegroom’s and robber’s magnanimity, he takes her back to her bridegroom without touching her. In some variants the tale occurs in conjunction with a frame tale that deals with the discovery of a thief. Three (four) sons inherit jewelry from their father. The money is stolen by one of the brothers. The robbed owners call a wise man (*judge*, king, Solomon), who is to discover the thief. The wise man (or his daughter) then starts to tell the story. The thief betrays himself unconsciously when

he answers the question, “Who acted in the noblest way?” He argues that the robber in the story was the most noble one or he answers other questions in a revealing manner.

According to the folklorists’ researches and “Arabian Nights Encyclopaedia”, this tale-type originates from India. Its oldest version, dating from the third century C.E., is included in the Buddhist “Tripitaka”. Other early versions are contained in the Indian collection “Vetalpancavimsatika” (The Ocean of Streams of Stories), as well as in the various redactions of the “Tuti-name”. In European tradition, the tale was popularized by Boccaccio’s “Decamerone”. Its version in Chaucer’s Franklin’s Tale probably derives from French models.

The tale about a contest in generosity is included in French editions of Oriental tales “Le cabinet des fées, ou collection choisie des contes des fées, et autres contes merveilleux” (1786). The tale is called as *Histoire du Sultan Aqschid*. The same story is included in the English book “Tales of the East, comprising the most popular romances of Oriental origin and the best imitations by European authors” by Henry Weber (1812). In this edition is prefixed an introductory dissertation, containing an account of each work and of its author or translator. “The History of Sultan Aqschid” is a part of cycle of “Turkish tales”.

In further French editions, the tale about a contest in generosity is a part of the narrative cycle “Charming Tales of Careless Youth”. In the Joseph Charles Mardrus’s version of the late nineteenth century, there is a tale of Habib and Habiba, two cousins in Bagdad. The two grow up together and are in love, but then Habiba is married to another man. When she cries on her wedding night, her Husband allows her to take her cousin as her lover. Subsequently she is reunited with Habib. This Tale does not feature in the standard Arabic manuscripts of the Arabian Nights. According to Chauvin, Mardrus has appropriated the tale from an unknown source. The tale’s basic structure corresponds to the enframed narrative in the international tale-type ATU 976: Which Was the Noblest Act?

In German versions of Oriental tales, this tale-type is included in the narrative cycle of “the Forty Viziers”, which denotes a frame story that corresponds to the story of “Craft and Malice of Woman”, although it contains different tales. The Story of the “Forty Viziers” is found only in the Stuttgart/Pforzheim edition of Gustav Weil’s German translation, included as part of the “Thousand and One Night”. In a footnote, the translator declares that in the Arabic text this story cannot be found in this place, but that he included it for the sake of “completeness” on the basis of other sources.

Next to literary versions, the tale-type ATU 976 is spread in folklore of Europe, Asia and South America too. There exist Scottish, Irish, Slovenian, Russian, Turkish, Jewish, Armenian, Kazakh, Turkmen, Tadzhik, Iranian, Indian, Chinese, Mexican, Chilean, Argentine versions. This folktale-type is spread in Georgian folklore too.

The plot of the contest in generosity became very attractive theme in literary novels and cinematography of the twelfth century. A short story by Tawfiq al-Hakim, Egyptian Writer, and a film by Sanjay Leela Bhansali, the Indian film director, are based on the tale-type ATU 976.

Oral traditions and literary traditions belong to parallel categories of traditions. Each of the two types of narrative traditions belongs to a separate cognitive system. Oriental-Occidental plot parallels show an intensive internalization of folktale types. They also give information about the relationship between literary and oral traditions.